ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4018772

ნომერი: AR1602095

თარიღი : 18.05.2018

გაცემის თარიღი : 18.06.2018

გაცნობის თარიღი : 26.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ.აღმაშენებლის გამზირი N164;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევანი ყარალაშვილი პ/ნ 01024004043
- თბილისი, ვაგზლის მოედანი #2

ორგანიზაცია:
- სს "თბილისი ცენტრალი" კოდი: 205129653

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "კინოქალაქი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205044147
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან ყარალაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024004043

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

• .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამ ფოფხაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 18 მაისის AR1602095 განცხადება. გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N24, 14.06.2018 წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N164-ში (ძეგლი) არსებული სამრეცხაოს რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილ იქნას სარეკონსტრუქციო შენობის კანონიერების დამდგენი დოკუმენტი;
2. წარმოდგენილ იქნას სრულყოფილად დამუშავებული არსებული და საპროექტო გენგეგმის ფაილები;
3. არქიტექტურულ პრიოექტს უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერით;
4. არქ. ნახაზებზე დაიტანეთ არსებული და საპროექტო ჭრილის ხაზები;
5. წარმოდგენილ იქნას არს. და საპრ. სახურავის გეგმები;
6. წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული პროექტი სარეკონსტრუქციო პროექტის გათვალისწინებით;
7. წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით;
8. წარმოდგენილ იქნას სრულყოფილად დამუშავებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი;
9. წარმნოდგენილი გეოლოგიური კვლევა არ ეხება პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს. ტექნიკური დავალება გაცემულია იმავე ტერიტორიაზე საპროექტო ჭიშკრის მოწყობასთან დაკავშირებით;
10. წარმოდგენილ იქნას სახელოვნებათმცოდნეო კვლევა სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით.
11. წარმოდგენილ იქნას არსებული მდგომარეობის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა ახლო და შორი ხედებიდან, ასევე სარეკონსტრუქციო არეალის ფიქსაციით;
12. წარმოდგენილ იქნას სრულყოფილად დამუშავებული ფოტომონტაჟის ფაილები საპროექტო ნიშნულების, გაბარიტული ზომების, მასალისა და ფერის კოდის მითითებით;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge